**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე (ნაკვ. №02/012) და მთაწმინდის პარკში საბაგირო სადგურების ესკიზური პროექტის შერჩევასთან დაკავშირებით**

**საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1**

**ქ. თბილისი** **27.09.2014წ.**

სხდომა იმართება "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად, №1340 საკონკურსო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებების განხილვისა და საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

**სხდომას ესწრებიან:** ნინო ღოღობერიძე (კომისიის თავმჯდომარე), ნიკოლოზ აბაშიძე (კომისიის წევრი), დემური სვანიძე (კომისიის წევრი), მაკა შავიშვილი (კომისიის წევრი).

**სხდომას არ ესწრება:** გიორგი სოსანიძე (კომისიის წევრი).

**სხდომის თავმჯდომარე: ნინო ღოღობერიძე**

**სხდომის მდივანი: არმაზ ხუციბერიძე**

**დღის წესრიგი:** ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე (ნაკვ. №02/012) და მთაწმინდის პარკში საბაგირო სადგურების ესკიზზე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების დასაშვებობის საკითხის განხილვა.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

**საკონკურსო წინადადების დასაშვებობა:**

1. **სხდომაზე წარმოდგენილია:** გიორგი მელქაძის საკონკურსო წინადადება (კონკურსის მონაწილეს წარმოდგენილი არ აქვს სრულყოფილი საკონკურსო მასალა და საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის დაწესებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი).

აზრი გამოთქვეს:

ნინო ღოღობერიძე (კომისიის თავმჯდომარე) - არ არის დასაშვები

ნიკოლოზ აბაშიძე (კომისიის წევრი) - არ არის დასაშვები

დემური სვანიძე (კომისიის წევრი) - არ არის დასაშვები

მაკა შავიშვილი (კომისიის წევრი) - არ არის დასაშვები

**<u>კომისიამ გადაწყვიტა</u>:** გიორგი მელქაძის საკონკურსო წინადადება არ განიხილება, ვინაიდან არ პასუხობს "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებისა და საკონკურსო პირობების მოთხოვნებს, კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია და ამასთან, წარმოდგენილი არ არის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. **სხდომაზე წარმოდგენილია:** ირაკლი მელაძის საკონკურსო წინადადება.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ღოღობერიძე (კომისიის თავმჯდომარე) - დასაშვებია

ნიკოლოზ აბაშიძე (კომისიის წევრი) - დასაშვებია

დემური სვანიძე (კომისიის წევრი) - დასაშვებია

მაკა შავიშვილი (კომისიის წევრი) - დასაშვებია

**<u>კომისიამ გადაწყვიტა:</u>** ვინაიდან, საკონკურსო პირობების თანახმად, წარმოდგენილი უნდა იყოს ორი საკონკურსო წინადადება მაინც, ხოლო წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებებიდან გიორგი მელქაძის საკონკურსო წინადადება არაა დასაშვები და არ განიხილება, საკონკურსო პირობების შესაბამისად, №1340 კონკურსის მეშვეობით შესყიდვა ცხადდება ჩაშლილად.

**ნინო ღოღობერიძე (კომისიის (სხდომის) თავმჯდომარე)** _____

**ნიკოლოზ აბაშიძე (კომისიის წევრი)** _____

**დემური სვანიძე (კომისიის წევრი)** _____

**მაკა შავიშვილი (კომისიის წევრი)** _____

**არმაზ ხუციბერიძე (სხდომის მდივანი)** _____